6-1

ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქ. თბილისი 16 ივლისი 2007 წ.

ჩვენ, ერთის მხრივ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (შემდგომში "გამყიდველი"), საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის თეა გვარამიას სახით, მოქმედი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წ. 16 ივლისის № 21/539 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და მეორეს მხრივ შ.პ.ს „ბლეკ სი ინდასტრი" (შემდგომში "მყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის რატი დვალიშვილის სახით, ეხელმძღვანელობთ რა, "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონით; "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონის, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" დებულებით; საქართველოს პრეზიდენტის 04.07.07წ. №368 განკარგულებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 12 ივლისის №1-1/1056 ბრძანების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებას ვდებთ შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1"გამყიდველი" მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე გადასცემს, ხოლო "მყიდველი" იღებს პიროობადებულ საკუთრებაში ხობის მუნიციპალიტეტში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შემდეგ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს:

ა) სოფ. ყულევში მდებარე 15 ჰა მიწის ნაკვეთს (საკადასტრო №45/15/01/305);
ბ) სოფ. ყულევში მდებარე 115 ჰა მიწის ნაკვეთს (საკადასტრო № 45/15//01/146);
გ) სოფ. თორსა-დღვაბაში მდებარე 80,223ა მიწის ნკვეთს (საკადასტრო №45/06/02/400);
დ) სოფ. თორსა –დღვაბაში მდებარე 42,09 ჰა მიწის ნაკვეთს (საკადასტრო №45/06/02/401);
ე) სოფ. თორსა –დღვაბაში მდებარე 27 ჰა მიწის ნაკვეთს (საკადასტრო №45/06/02/402);
ვ) სოფ. ქარიატაში მდებარე 21 ჰა მიწის ნაკვეთს (საკადასტრო №45/12/01/370);
ზ) სოფ. ხეთაში მდებარე 1 ჰა მიწის ნაკვეთს (საკადასტრო №45/20/02/325) – შემდგომში „ქონება".

1.2. „ქონების" საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 7 250 000 (შვიდი მილიონ ორას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

1.3. ხელშეკრულებას თან ერთვის მიღება–ჩაბარების აქტი, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მუხლი 2. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

2.1 "მყიდველი" ვალდებულია:

ა) დაიცვას, სრულად და დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) საპრივატიზებო თანხა გადაიხადოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში;

6-2

გ) თხევადი გაზის ტერმინალის, ნავთობგადამამუშავებელი კომპლექსის, შესაბამისი საპორტო ინფრასტრუქტურისა და მისასვლელი რკინიგზის მშენებლობისათვის 5 წლის განმავლობაში განახორციელოს არანაკლებ 250 000 000 (ორას ორმოცდაათი მილიონი) აშშ დოლარის ინვესტიცია.

დ) 2.1 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული პროექტების განხორციელებისას განსაკუთრებით ინტენსიური მშენებლობის დროს დაასაქმოს ერთდროულად 3000-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე, რომელთა საშუალო ხელფასმა უნდა შეადგინოს არანაკლებ 600 (ექვსასი) ლარი.

ე) მიღებული „ქონების" მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე

ვ) დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ შესრულებაზე ყოველ 6 თვეში ერთხელ ინფორმაცია წარუდგინოს "გამყიდველს".

ზ) გადაიხადოს ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისათვის, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები.

თ) დროულად აუნაზღაუროს გამყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული ზიანი.

2.2. "გამყიდველი" ვალდებულია "მყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო თანხების სრულად დაფარვის შემდეგ დაუდასტუროს საკუთრების უფლება მყიდველს, მის მიერ გამოსყიდულ ქონებაზე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

მუხლი 3. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

3.1 სახელმწიფო ქონებაზე "მყიდველს" საკუთრების უფლება გადაეცემა სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო თანხის სრულად დაფარვის შემდგომ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „მყიდველს" „გამყიდველთან" შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გაყიდოს, გაცვალოს, გააქირაოს იჯარით გასცეს, ან გირაოთ, იპოთეკით ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება.

3.3 საკუთრების დადასტურების შემდგომ მყიდველის მიერ პრივატიზებული ქონების გაყიდვის შემთხვევაში იგი ვალდებულია „გამყიდველთან" შეთანხმებით ქონება გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალსწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით. სამინისტრო არ არის უფლებამოსილი განაცხადოს უარი პრივატიზებული ქონების გასხვისებაზე, თუ გასხვისება ხდება იმავე პირობით, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

3.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება სამინისტროს მიერ მისი დადასტურების მომენტიდან.

მუხლი 4. წარმომადგენლობა, დასტურები და გარანტიები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ ისინი აღჭურვილნი არიან ამ ხელშეკრულების დადებისა და შესრულების სათანადო უფლებამოსილებებით და მოქმედებენ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში.

4.2. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მათ არა აქვთ დადებული რაიმე გარიგება, ან არა აქვთ ნაკისრი რაიმე